შ.პ.ს. „ერ ტრანსი“
ს/კ 445 496 749
საქართველო, ქ. ბათუმი, ა. შანიძის N3
ტელ./ფაქსი:+995 42 222 56 68
მობ.: +995 571 03 03 42 / +995 571 02 50 24
ელ-ფოსტა: ertrans@gmail.com

LTD „ ER TRANS”
i/c 445 496 749
Georgia, batumi, No.3.shanidze st.
Tel./faxs: +995 42 222 56 68
Mob.: +995 571 03 03 42 / +995 571 02 50 24
E-mail: ertrans@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

ამ/წლის 03 დეკემბერს (შემოს. წერილი №17444) სამინისტროში ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა შპს **„ერ ტრანსი”**-ს (ს/კ 445496749), კუთვნილი ქვისამტვრევი საწარმოს (მის. ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა №3) სკრინინგის განცხადების შესწორებული ვარიანტი, თანახმად სამინისტროს 2019 წლის 28 ნოემბრის №11734/01 წერილისა.

დამატებით წარმოგიდგენთ კომპანიის მიერ ქვისსამტვრევი საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციაში გაშვებისათვის აუცილებელ ზოგიერთ მონაცემებს:

-საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ, მისი ნედლეულით (ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი) მომარაგება მოხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კარიერებიდან, სხვადასხვა კომპანიებისა და ორგანიზაციების მიერ მოპოვებული (ლიცენზირებული) ნედლეულით, მათთან გაფორმებული ნასყიდობების ხელშეკრულებების შესაბამისად. ნედლეულის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე მოხდება ავტოტრანსპორტით, ბათუმი-ხულოს ავტომაგისტრალის გავლით;

-საწარმოში ტექნოლოგიური მიზნით წყლის აღება მოხდება ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილიდან, ხოლო რაც შეეხება საწარმოო ჩამდინარე წყლებს, რომელიც დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, ჩაშვებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ მექანიკური ტიპის სალექარში. სალექარი წარმოადგენს 3-სექციან გამწმენდ ნაგებობას, რომლის პარამეტრები შესაბამისად 15x8,5x1,4 მეტრი იქნება. სალექარში დაგროვილი ლამის ამოღება მოხდება ავტომტვირთავის მეშვეობით და დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, ხოლო სალექარში დაგროვილი წყლის ნაწილი ბრუნვითი წყალმომარაგების პრინციპით, ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ქვისსამტვრევ აგრეგატს, ნაწილი კი ჩაიშვება ადგილის რელიეფში.

№ 19029
24 12 2019
2 ფ.

-საწარმოს ტერიტორიაზე კაპიტალური შენობა-ნაგებობების მშენებლობა დაგეგმილი არ არის. რაც შეეხება მუშა-მოსამსახურეთა მოსასვენებელ და საყოფაცხოვრებო-კომუნალურ კვანძებს, ასევე კვების ბლოკს და სხვადასხვა დანიშნულების სასაწყობო შენობა-ნაგებობებს, ისინი წარმოადგენენ მარტივი ტიპის არაკაპიტარულ დროებით ნაგებობებს. ამასთან, ერთად, დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ გამოიყოს სპეციალური უბნები გადასამუშავებელი ქვა-ღორღისა და მიღებული პროდუქციის განთავსებისათვის.

მოცემული დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ დაურთოდ ჩვენს მიერ წარმოდგენილ წინა სკრინინგის განცხადებას სკრინინგის პროცედურის გავლისა და მიღებული გადაყვეტილების მიღების დროს.

პატივისცემით,

ანზორ დავითაძე

შპს „ერ ტრანსი"-ს დირექტორი

საქართველო / ბათუმი აკაკი შანიძის №3 (+995) - 571 02 50 24 (042)222 56 68 ertrans@gmail.com